

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ
2011 წლის 8 ნოემბერს განხილულ საქმეთა მოკლე მიმოხილვა**

• იაკუბოვი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №7265/10

აპლიკანტი უმიდ იაკუბოვი უზბეკეთის მოქალაქეა, დაიბადა 1969 წელს. იგი რუსეთში ჩავიდა 2009 წლის მაისში და მას შემდეგ მის წინააღმდეგ მიმდინარეობდა ექსტრადირებისა და გაძევების შესახებ საქმის განხილვები, რის შედეგადაც უარი ეთქვა თავშესაფრის მინიჭებაზე. ამჟამად იგი ქალაქ რიაზანში (რუსეთი) ცხოვრობს და მოელის გაძევებას, რომლის თაობაზეც 2010 წლის თებერვალში გაიცა განკარგულება. ადამიანის უფლებათა სასამართლომ რუსეთის მთავრობას მიმართა სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლზე დაყრდნობით, რომელიც დროებით ღონისძიებას ეხება და მოითხოვა, შეჩერებულიყო განმცხადებლის გაძევება და მისი უზბეკეთში გაგზავნა შემდგომ შეტყობინებამდე. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ თუ იგი ექსტრადირებული იქნებოდა უზბეკეთში, სადაც იძებნებოდა როგორც ეჭვმიტანილი აკრძალული ტრანსნაციონალური ისლამური ორგანიზაციის „ჰიზბ უტ-ტაჰირის“ სავარაუდო წევრობის გამო, მას ემუქრებოდა წამება, არაადამიანური მოპყრობა და დევნა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვეოდა კონვენციის მე-3 მუხლი განმცხადებლის ექსტრადირების შემთხვევაში და დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-13 მუხლი. სახელმწიფოს დაეკისრა 1800 ევროს გადახდა აპლიკანტის სასარგებლოდ. სასამართლომ გადაწყვიტა კვლავაც გაეგრძელებინა რეგლამენტის 39-ე მუხლზე მითითება რუსეთის მთავრობისათვის, რომ სასურველია, განხილვების ჯეროვნად წარმართვისათვის მიზნით არ მოხდეს აპლიკანტის გაძევება, ვიდრე წარმოდგენილი განჩინება საბოლოოდ არ შევა ძალაში.

• კორმოში სლოვაკეთის წინააღმდეგ – განაცხადი №46092/06

აპლიკანტი ატიკა კორმოში სლოვაკეთის მოქალაქეა, დაიბადა 1974 წელს და ცხოვრობს შტუროვოში (სლოვაკეთი). იგი დააკავეს 2004 წლის თებერვალში ყაჩაღობის ბრალდების გამო და დაპატიმრებული ჰყავდათ 2006 წლის თებერვლამდე, ვიდრე არ გაათავისუფლეს. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მისი დაკავებით სახელმწიფოს მხრიდან დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი, რადგან 2005 წლის იანვრის შემდეგ არ არსებობდა სასამართლოს არანაირი გადაწყვეტილება მისთვის პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე. აღნიშნულის გამო მას სახელმწიფოს მხრიდან ზარალის ანაზღაურების სახით გადაეცა 2818 ევრო. განმცხადებელმა აღნიშნულიც გაასაჩივრა სტრასბურგის სასამართლოში და განაცხადა, რომ ეს თანხა არ იყო შესაფერისი ანაზღაურება.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი და სახელმწიფოს დაეკისრა 12000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ.

საქმის გაჭიანურებით განხილვა

- *რაუდესპი ესტონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №54191/07*

წარმოდგენილ საქმეში განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და მე-13 მუხლი ადმინისტრაციულ სასამართლოებში მისი საქმის განხილვისას.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, ხოლო კონვენციის მე-13 მუხლი მიიჩნია დარღვეულად.